Free Vision Academy
თავისუფალი ხედვის აკადემია

2024 – 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში

სამოქმედო გეგმა მოიცავდა 22 აქტივობას, რომელთაგანაც რიგი აქტივობები შესრულდა, რიგი აქტივობები არის განხორციელების პროცესში, ხოლო რამდენიმე აქტივობა საერთოდ ამოღებულ იქნა.

მეორე აქტივობის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას, დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადი წარადგინა 6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელთაგანაც ოთხზე მოიპოვა ავტორიზაცია და გამოცხადდა სტუდენტთა მიღება. ეს პროგრამებია: აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამა.

მეხუთე აქტივობა მოიცავდა აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, რაშიც მოიაზრებოდა აკადემიის საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვა. შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისი კომპიუტერებით. აკადემიის მიერ უზრუნველყოფილია ასევე მეექვსე და მეშვიდე აქტივობა-პროფესიულ სტუდენტთა ელექტრონული სარეგისტრაციო პროგრამის შექმნა და ვებგვერდის შექმნა-მოდერნიზაცია. მეცხრე აქტივობის შესაბამისად, მობილიზებულია სასწავლო ინვენტარი. შემუშავებულია მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტი მეთორმეტე აქტივობის შესაბამისად. მეცამეტე აქტივობის ფარგლებში შემუშავდა და გადამუშავდა მთელი რიგი რეგულაციები, თუმცა ამ ეტაპზეც მიმდინარეობს მუშაობის პროცესი. აკადემიაში დანერგილია მომზადება-გადამზადების პროგრამები, სწავლება მიმდინარეობს ოთხ პროგრამაზე დასაქმების სააგენტოს ხელშეწყობით. მეჩვიდმეტე აქტივობა ითვალისწინებდა სკოლამდელი განათლების დაწესებულებებთან თამამშრომლობას; სკოლამდელ განათლებაში ჩართულ პირთა განვითარების ხელშეწყობას. აქტივობის ფარგლებში აკადემიამ ხელშეკრულება გააფორმა ოთხ ბაღთან, მათ შორის 2 საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან. ხელშეკრულების თანახმად, მოხდება აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების სწავლება პრაქტიკის ობიექტზე ერთი მოდულის ფარგლებში, ასევე პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების ფარგლებში პრაქტიკის უზრუნველყოფა მსმენელებისთვის. გარდა ამისა, აკადემიამ გამოიკვლია ბაღების საჭიროებები, შესაბამისად, მომზადება-გადამზადების ორ ნაკადს სწორედ ბაღების თანამშრომლები შეადგენდნენ.

სამოქმედო გეგმის გარკვეული აქტივობების განხორციელება დაიწყო საანგარიშო პერიოდში, თუმცა საბოლოოდ არ ვერ მოხერხდა მათი დასრულება. მეშვიდე აქტივობის ფარგლებში აკადემიაში უზრუნველყოფილია საინფორმაციო რესურსები, თუმცა

მიმდინარეობს მათი დახვეწის პროცესი, ასევე რიგი ინვენტარის შესყიდვა. მეათე აქტივობა ბიბლიოთეკის რესურსებით შევსება-გადახალისება, ბიბლიოთეკის პროგრამის შექმნა, საერთაშორისო ქსელში ჩართვის უზრუნველყოფა- განხორციელდა ნაწილობრივ, კერძოდ, შეივსო ბიბლიოთეკა სასწავლო რესურსებით, თუმცა ემ ეტაპზე ვერ ხერხდება საერთაშორსიო ქსელებში გაწევრიანება. მეთექვსმეტე აქტივობა - საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა, ამ ეტაპზე შეიქმნა რამდენიმე მომხმარებლის პროფილი ელექტრონული საქმოსწარმოების სისტემაში, თუმცა ამ ეტაპზე გრძელდება წესის შემუშავება და პროცესების ელექტრონულად წარმართვაზე გადასვლა. მეოცე აქტივობა-პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა სკოლაში, სასკოლო საზოგადოებასთან დამეგობრება, აკადემიამ დაიწყო ვიზიტები სკოლებში, გადამზადდა მოკლევადიანი პროგრამების ფარგლებში სკოლის პედაგოგები, თუმცა სამომავლოდ იგეგმება საქმიანობის გაფართოება ამ მიმართულებით. სამოქმედო გეგმის საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა პირველი აქტივობის -ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული განვითარების პროგრამის შექმნა და ასევე მეოთხე აქტივობით განსაზღვრული სასწავლო პროცესის კონტროლის და შეფასების მექანიზმების ჩამოყალიბება. ამ ეტაპზე შესრულებული არ არის მეთერთმეტე აქტივობა-ადამიანური რესურსების განვითარების პროგრამის შექმნა, მეთხუთმეტე აქტივობა-საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროგრამის შემუშავება. ასევე ვერ შესრულდა მეთექვსმეტე აქტივობა არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვება და მეთვრამეტე აქტივობა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის პროფორიენტაციის და კარიერული სერვისების განვითარების ხელშეწყობა. შესაბამისად აღნიშნული აქტივობა გადავა მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის გაწერილ სამოქმედო გეგმაში. ოცდამეერთე აქტივობა ვერ შესრულდა და ხელმძღვანელობის მოსაზრებით, ამ ეტაპზე საერთაშორისო ურთიერთობების, ინტერნაციონალიზიციის, გაცვლითი პროგრამების და დასაქმების ხელშეწყობით, საჭიროა აკადემიის მიერ მეტი რესურსის მობილიზება და გარკვეული წინარე სამუშაოების განხორციელება. შესაბამისად, ამ ეტაპზე აღნიშნული აქტივობა არც მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში არ შევა. ასევე ოცდამეორე აქტივობა, ციფრული ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის განვითარების ხელშეწყობა სწავლების და სწავლის მართვის პროცესში კიდევ ერთხელ გადაიხედება და შესაძლოა ნაწილობრივ ჩაიშალოს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში.